<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 05.08.2010, მუხ. 301) 32^2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. 2011-2012 და 2014-2015 წლებში აკრედიტებული მასწავლებლის მომზადების ბაკალავრიატის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი) აკრედიტებულად ჩაითვალოს 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებამდე.“.

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 32^2 მუხლის 2^1 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 2 დეკემბრიდან ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**